2018

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

EUROPEAN UNIVERSITY LAW SCIENTIFIC-RESEARCH INSTITUTE

დირექტორი: იოსებ კელენჯერიძე
Director: Ioseb Kelenjeridze

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 2018 წლის განმავლობაში შემდეგი აქტივობები განახორციელა:

The scientific-research institute of law of the European University carried out the following activities in 2018:

1 გამოიცა „სამართალი და მსოფლიოს“ ორი გეგმიური (№9,10) ნომერი

TWO PLANNED JOURNALS (№9, 10) OF “LAW AND WORLD” WERE PUBLISHED

გამოცემებში დაიბეჭდა ქართველი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო შრომები, ასევე პრაქტიკოსი იურისტების კვლევები და ინტერვიუები.

ჟურნალის მე-10 ნომერი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ტრადიციული სამეცნიერო სტატიები. მეორე ნაწილი 2018 წლის 17 მაისის საკონფერენციო შრომებს მიეძღვნა.

სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა „სამართალი და მსოფლიო“ 2015 წლიდან გამოდის. ჟურნალში სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდება. ამ პერიოდის განმავლობაში, გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაშრომები.

The 10th issue of the journal is divided into two parts. Traditional scientific articles are included in the first part whereas the second part is dedicated to conference proceedings of May 17, 2018.

cientific works of foreign and Georgian authors and research and interviews of practitioner lawyers were published.

International scientific publication of the Scientific-Research Institute “Law and World” has been issued from 2015. Articles are published in English and Georgian languages. Significant pieces of work of famous Georgian and foreign scientists were published in this period.

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებად ბაზებში განთავსდა:

The journal “Justice and Law” of the scientific-research institute of the European University has been included in the following international scientific indexed bases:

2

ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

SCIENTIFIC PUBLICATION OF THE INSTITUTE GAINED INTERNATIONAL RECOGNITION

The International Journal Impact Factor (IJIFACTOR) წარმოადგენს ჟურნალებისა და პერიოდული გამოცემების ბაზების საჯაროდ ხელმისაწვდომ არაკომერციულ პორტალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. IJIFACTOR არის რეფერირებადი ლიტერატურის (სამეცნიერო ჟურნალების, წიგნების, კონფერენციების პუბლიკაციების) აბსტრაქტებისა და ციტირებების ერთ-ერთი უდიდესი მონაცემთა ბაზა. IJIFACTOR უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, რეფერირებადი ჟურნალებისა და სტატიების სრული ტექსტების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გლობალური კვლევებისა და სამეცნიერო საზოგადოების მაღალი მოთხოვნები.

The International Journal Impact Factor (IJIFACTOR) is a publicly available non-profit portal for the database of the journals and periodicals across the Globe. IJIFACTOR is one of the largest abstract and citation databases of peer-reviewed literature: Scientific journals, books, and conference proceedings. IJIFACTOR provides unrestricted access of high quality, peer reviewed journals and millions of full text articles to fulfill the dire need of the global Research and Scientific community.

Scientific Indexing Services (SIS) ორიენტირებულია მკვლევარისთვის აკადემიური ბაზების მომსახურებათა შეთავაზებაზე, რაც მოიცავს ციტირების ინდექსირებას, ანალიზს და უზრუნველყოფს ციტირების მონაცემთა ბაზების მართვას, რომელიც მოიცავს ათასობით აკადემიურ ჟურნალს, წიგნს, გამოცემას. ორგანიზაცია ორიენტირებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი მექანიზმის გამოყენებაზე რანგირების, შეფასებისა და კატეგორიზაციის მიზნით. შეფასება იწარმოება ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა ნაშრომის ორიგინალურობა, ციტირება, რედაქტირების ხარისხი, მუდმივობა და საერთაშორისო ცნობადობა, რისთვისაც გამოიყენება სიღრმისეული ანალიზის მეთოდი.

SIS offering academic database services to researcher. It's mainly: citation indexing, analysis, and maintains citation databases covering thousands of academic journals, books, proceedings and any approved documents SIS maintains academic database services to researchers, journal editors and publishers. SIS focuses on: citation indexing, citation analysis, and maintains citation databases covering thousands of academic journals. SIS Provides Quantitative And Qualitative Tool For Ranking, Evaluating And Categorizing The Journals For Academic Evaluation And Excellence. The Evaluation Is Carried Out By Considering The Factors Like Paper Originality, Citation, Editorial Quality, and Regularity & International Presence.

International Scientific Indexing – ISI სერვერი აერთიანებს მთავარი საერთაშორისო ჟურნალებისა და გამოცემების ინდექსირებას. ავტორს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის, გამოცემების (კვლევების) და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ISI არის სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხობრივად კონტროლირებული ღიად ხელმისაწვდომი ჟურნალებისადმი წვდომას. ISI ორიენტირებულია იყოს ყოვლისმომცველი და მოიცვას ყველა ღიად ხელმისაწვდომი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც იყენებს ხარისხის შემოწმების შესაბამის სისტემას და არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ენით ან სფეროთი.

The ISI server provides indexing of major international journals and proceedings. Author can get information about international journal impact factor, proceedings (research papers) and information on upcoming events. ISI is a service that provides access to quality controlled Open Access Journals. The ISI aims to be comprehensive and cover all open access scientific and scholarly journals that use an appropriate quality control system, and it will not be limited to particular languages or subject areas.

Open Academic Journals Index (OAJI) არის ღიად ხელმისაწვდომი სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზა, რომელიც დაფუძნებლია აშშ-ში, ორგანიზაცია International Network Center for Fundamental and Applied Research-ის მიერ. იგი უზრუნველყოფს ღიად ხელმისაწვდომი ჟურნალების ინდექსირებისთვის საერთაშორისო პლატფორმის განვითარებას. OAJI-ს მიერ ფორმირებული ჟურნალის გლობალური მიმდინარე ინდექსი შედგენილია იმის მიხედვით, თუ როგორი გლობალური მიმდინარეობები და გამოწვევებია სახეზე.

Open Academic Journals Index (OAJI) is a full-text database of open-access scientific journals. Founder – International Network Center for Fundamental and Applied Research, USA. Our mission is to develop an international platform for indexing the scientific journals of open access. The Current Global Index of the Journal (CGIJ) OAJI is created taking into account the current global trends and challenges in the field of indexing the scientific journals.

3 ქართველი სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასი ამერიკელი მოსამართლეების მონაწილეობით

ქართველი სტუდენტებისა და სამართალმცოდნეებისათვის ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა მასტერკლასი, რომელშიც აშშ-დან სპეციალურად მოწვეული მოსამართლეები მონაწილეობდნენ. ამერიკელმა მოსამართლეებმა თავიანთი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარეს ქართველ სტუდენტებს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა, აშშ-ის საელჩოსა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ღონისძიებას ლექციათა ციკლის სახე ჰქონდა – თითოეული გამომსვლელი კონკრეტული თემის ირგვლივ საუბრობდა, შემდეგ კი მოხსენებული საკითხის შესახებ დარბაზთან დისკუსია მართვდა.

ღონისძიებაზე განხილული იქნა შემდეგი თემები:

1. აშშ-ს საარჩევნო პროცესი
2. სისხლის სამართალწარმოება აშშ-ში
3. აშშ-ს სამართლის სკოლები
4. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სისტემა
5. აშშ-ს კონსტიტუცია
6. სასჯელის შეფარდების გზამკვლევი მინესოტაში.

AMERICAN JUDGES CONDUCTED A MASTER-CLASS FOR GEORGIAN STUDENTS

A master-class was conducted for Georgian students and law specialists at the European University in which specially invited guests from the USA participated. American judges shared the experience of their country with Georgian students. Members of the Georgian Association of Attorneys, representatives of the Public Defender of Georgia and the USA and students of various universities took part.

The event was offered as the cycle of lectures – each presenter was talking about one specific topic and afterwards conducted a discussion with the audience around the issues presented.

The following topics were discussed:

1. USA Election Process
2. Criminal Law in the USA
3. Law Schools in the USA
4. The System of Jury Selection
5. USA Constitution
6. Punishment Guide in Minnesota.

კონფერენცია „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები“

CONFERENCE “ACTUAL ISSUES OF JUSTICE”

4

2018 წლის 17 მაისს გაიმართა კონფერენცია, სახელწოდებით – „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა აშშ-ის მოსამართლეებმა, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მეცნიერებმა მიიღეს.

კონფერენციაზე განიხილეს საქართველოს სამართლებრივი სისტემა, მოხდა პარალელების გავლება აშშ-ისა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკებს შორის, ხაზი გაესვა ქართული მართლმსაჯულების მიღწევებსა და არსებულ გამოწვევებს.

On May 17, 2018 conference “Actual Problems of Justice” was conducted in which USA judges, representatives of the Georgian legislative, executive and court authorities and scientists took part.

The justice system of Georgia was discussed at the conference, parallels were drawn between USA and Georgian legal practices, achievements and existing challenges of Georgian justice were stressed.

5

ამერიკელი მოქმედი პროკურორის მასტერ-კლასი ევროპის უნივერსიტეტში

A MASTER CLASS OF A PRACTICING PROSECUTOR WAS HELD AT THE EUROPEAN UNIVERSITY

2018 წლის 5-16 ნოემბერს, სამხრეთ კაროლინას (აშშ) მოქმედმა პროკურორმა (წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოში) უილიამ ვატკინსმა ქართველი სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ევროპის უნივერსიტეტში ორკვირიანი სპეცკურსი ჩაატარა. სპეცკურსი ჩატარდა საერთაშორისო სისხლის სამართალსა და აშშ-ის საკონსტიტუციო სამართალში.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებმა. კანდიდატების შერჩევა მოხდა აპლიკაციების გადარჩევის გზით.

კურსი ჩატარდა ინგლისურ ენაზე. ტესტირების შედეგად გაიცა ამერიკული სერტიფიკატი.

მომხსენებელი უილიამ ვატკინსი არის სამხრეთ კაროლინას (აშშ) მოქმედი პროკურორი (წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოში). მისი ავტორობითაა გამოცემული ცნობილი მონოგრაფია – „ამერიკის დამოუკიდებლობის აღდგენა – კენკუტისა და ვირჯინიის რეზოლუციები და მათი მემკვიდრეობა“. ისას ევეარის ოკლანდის (აშშ, კალიფორნია) დამოუკიდებელი ინსტიტუტის სამართლის მკვლევარი.

The presenter William Watkins is the active prosecutor (representative at the appellate court) of South Carolina (USA). He published a famous monograph – "Restoring the Independence of the USA – Kenkutt and Virjinia Resolutions and their Legacy". ISAS EVEARIS Okland (USA, California) independent institute law researcher.

On November 5-16, 2018 the actual prosecutor of South Carolina (USA) (representative at the appellate court) William Watkins conducted a two-week special course in international criminal law and US constitutional law at the European University for the Georgian students of the law faculty.

MA students from EU University and various other ones in Georgia took part in the event. Candidates were selected by means of short-listing applications.

The course was conducted in the English language. The American certificate was issued on the basis of the final test.

6

კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორმა ევროპის უნივერსიტეტში ღია ლექცია წაიკითხა

THE PROFESSOR OF LOS ANGELES UNIVERSITY OF CALIFORNIA CONDUCTED AN OPEN LECTURE AT THE EUROPEAN UNIVERSITY

2018 წლის 12 ივლისს, ევროპის უნივერსიტეტში კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის (UCLA) პროფესორმა, მედიცინის დოქტორმა, სამუელ ბერნალმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე „ბიზნეს სამართალი და სამედიცინო მომსახურების ბაზარი". ღონისძიების შემდეგ თითოეულ სტუდენტს სერტიფიკატი გადაეცა.

სამუელ ბერნალი არის სამართლისა და მედიცინის დოქტორი, კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ემერეტუსი პროფესორი. სხვადასხვა დროს აკადემიურ თანამდებობებს იკავებდა ჰარვარდის მედიცინის სკოლასა და ბოსტონის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში. ამასთან, წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა აშშ-ს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

On July 12, 2018 professor of the University of California in Los Angeles, doctor of medical sciences Samuel Bernall conducted a public lecture on “Business Law and Market of Medical Services”. After the event each student was awarded with a certificate of attendance.

Samuel Bernall is the doctor of law and medicine, emeritus professor of the University of California in Los Angeles. He held academic positions at various times at the Harward School of Medicine and Boston University. Besides, throughout years he was lecturing at various high educational institutions in the USA.

სისხლის სამართლის პრობლემები და გამოწვევები

7

PROBLEMS AND CHALLENGES OF CRIMINAL LAW

2018 წლის 24 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „სისხლის სამართლის პრობლემები და გამოწვევები“ გაიმართა.

კონფერენციას წაუძღვა და გამომსვლელები შეაფასა ფლორიდის შტატის მოქმედმა მოსამართლემ – მარკ სპეისერმა. მან უმცროს კოლეგებს თავისი გამოცდილება გაუზიარა, კონფერენციის ბოლოს კი მაღალი შეფასების მქონე სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცა.

კონფერენციაზე გამოტანილი იქნა შემდეგი თემები:

- მარიხუანას ლეგალიზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში
- ევთანაზია
- სიკვდილით დასჯა.

ვიზიტის ფარგლებში, მარკ სპეისერმა ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა ასევე საჯარო ლექცია თემაზე – მარიხუანას საკანონმდებლო რეგულაციები აშშ-ში. ამერიკელმა მოსამართლემ სტუდენტებს თავისი სამოსამართლო პრაქტიკიდან, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საინტერესო მაგალითები და აშშ-ის სხვადასხვა შტატის რეგულაციები გააცნო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

On October 24, 2018 the students' scientific conference "Problems and Challenges of Criminal Law" was held at the European University.

The conference was led and presenters assessed by the active judge of the State of Florida Mark Spayers. He shared with his young fellow colleagues his experience. At the end of the conference he awarded with certificates those students who got high scores.

The following topics were discussed at the conference:

- Marijuana legalization in various countries of the world
- Euptanasia
- Capital Punishment.

Within the scope of the visit, Mark Spacer also conducted a public lecture "Legislative Regulations of Marijuana in the USA" for the students of the faculty of Law, Humanities and Social Sciences of the European University. The American judge introduced to students his best practices and provided interesting examples and regulations of various states of the USA. The meeting was conducted in the mode of questions and answers.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საჯარო ლექცია ევროპის უნივერსიტეტში

8

PUBLIC LECTURE OF THE INTERNATIONAL ORGANIZATION ON MIGRATION AT THE EUROPEAN UNIVERSITY

2018 წლის 10 ოქტომბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ინფორმირებულ და კანონიერ მიგრაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გამართა. ღონისძიებაზე შემდეგი საკითხები განიხილეს: ტრეფიკინგი, საზღვარგარეთ სწავლა, შრომითი მიგრაცია, თავშესაფარი, უვიზო მიმოსვლა, უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები, საქართველო და ნემიგრაცია, საქართველოში დაბრუნება და რეინტეგრაცია, საქართველო და ევროკავშირი და სხვ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ღონისძიება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) აქტიური საინფორმაციო კამპანიის ინფორმირებული და კანონიერი მიგრაცია მხარდაჭერის მიზნით გაიმართა, თავად კამპანია კი ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება.

On October 10, 2018 the International Organization on Migration conducted the information meeting on issues of infirmed and legal migration for the students of the European University. The following issues were discussed at the event: trafficking, studying abroad, labor migration, shelter, visa-free movement, risks related with illegal migration, Georgia and Nemigration, returning back to Georgia and reintegration, Georgia and the EU, etc. The meeting was conducted in the mode of questions and answers.

The event was held to support the active information campaign “Informed and Legal Migration” of the IOM. As for the campaign itself, it is being carried out with funding from the EU.

9 ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქალაქ მაიამის მოსამართლემ იმიტირებული სასამართლო პროცესი გამართეს

EU STUDENTS TOGETHER WITH JUDGE OF MIAMI HAVE CONDUCTED SIMULATED TRIAL IN CRIMINAL LAW

2018 წლის 28 აპრილს, ევროპის უნივერსიტეტს ქალაქ მაიამის (აშშ) სასამართლოს მოსამართლე მარკ სპეისერი ეწვია, რომელმაც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სისხლის სამართლის პროცესში მასტერკლასი ჩაატარა. იმიტირებული პროცესი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა. სასამართლო პროცესის სხდომის თავმჯდომარე მარკ სპეისერი იყო, პროცესის მონაწილეები კი – ევროპის

უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები.

ევროპის უნივერსიტეტსა და მარკ სპეისერს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ქალაქ მაიამის მოსამართლე ევროპის უნივერსიტეტში მასტერკლასებსა და ტრენინგებს რამდენიმე წელია ატარებს. ამასთან, 2017 წლის შემოდგომაზე, მის მიერ ინიცირებული პროექტის გამარჯვებულმა სტუდენტმა მაიამის (აშშ) სასამართლოში ერთთვიანი პრაქტიკაც გაიარა.

the Judge of Miami holds masterclasses and trainings at European University several times a year. In addition, in the fall of 2017, the winner of the project initiated by Mark Speiser had opportunity to work together with Speiser in Maiami (USA) city court during a month.

On April 28, 2018, Mark A. Speiser – judge of Miami, USA, has visited European University in order to conduct masterclass in criminal proceedings. The simulated judicial process was held at Tbilisi Court of Appeals. The process was leaded by Tatuli Dolidze – assistant professor from the same faculty and Mark Speiser. As for EU students they were the participants of the trial.

Within the framework of cooperation between European University and Mark Speiser,

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი ევროპის უნივერსიტეტს მეორედ ეწვია

STRASBURG HUMAN RIGHTS INTERNATIONAL INSTITUTE REPRESENTATIVES VISITED THE EUROPEAN UNIVERSITY FOR THE SECOND TIME

2018 წლის 11-16 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის მეორე გასვლითი ტრენინგ-კურსი საერთაშორისო სისხლის სამართალში.

ღონისძიება საზეიმოდ გახსნა საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისის ხელმძღვანელმა – კაუპო კანდიმ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი საქართველოს მეორედ ეწვია. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ რენე კასინის ფონდი და ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. კურსის თანადამფინანსებლები ევროპის უნივერსიტეტთან ერთად იყვნენ საფრანგეთის საელჩო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისი საქართველოში.

პროექტი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცოდნის გაღრმავებას საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით. ღონისძიებას უძღვებოდნენ:

1. ელენი ჩაიტიდუ (Eleni CHAITIDOU) – ჰაგის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს იურისტი.(ჰოლანდია)
2. რიკ ლევსონი (Rick LAWSON) – ლეიდენის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი (ჰოლანდია)
3. ფილიპ კურა (Philippe CURRAT) – საერთაშორისო სისხლის სამართლის ადვოკატი, პროფესორი (ჟენევა).

კურსის ბოლოს, ტესტირების საფუძველზე, მონაწილეებს გადაეცათ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის სერტიფიკატი.

On June 11-16, 2018 the second training course in criminal law of the Strassbourg International Human Rights Institute was conducted at the European University.

The event was officially opened by the head of the office of international court of criminal law of Georgia Kaupo Kandi.

The International Human Rights Institute visited Georgia for the second time. The Rene Kassin Foundation and Law Scientific-Research Institute of the European University organized the event. French embassy and international law office of criminal law co-funded the course together with the European University.

The project aimed at enhancing the knowledge of participants in respect with international criminal law. The event was headed by:

1. Eleni CHAITIDOU – The Hague International Criminal Court lawyer (The Netherlands)
2. ick LAWSON – Leinden University Law School Professor (The Netherlands)
3. Philippe CURRAT – International Criminal Law Attorney, professor (Geneva).

Following the end-of-course test, participants were awarded with the end-of-course certificates of the International Institute of Human Rights of Strassbourg.

(+995 32) 2 000 171

info@institute.eu.edu.ge

თბილისი. გურამიშვილის გამზ. N76